ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №690264

ნომერი: AR1131776

თარიღი : 15.05.2013

გაცემის თარიღი : 27.05.2013

გაცნობის თარიღი : 09.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩიტაია , N 14ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე შავიშვილი პ/ნ 01013002960
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მამუკა კაპანაძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კონსტანტინე შავიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013002960

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6/508-1

• .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 13.06.2007

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 13 ივნისს ბრძანებით N03/581 შეთანხმდა ქ. თბილისში, ჩიტაიას ქ. N14ა–ში, მოქ. კ. შავიშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური ობიექტის (საოფისე, სავაჭრო–საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი და სხვა) არქიტექტურული პროექტი და გაიცა N6/508–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2009 წლის 30 მაისის ჩათვლით.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2011 წლის 13 ივნისს ბრძანებით N1728 10.05.2011 მშენებლობის დასრულების თარიღში შევიდა ცვლილება და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 5 მაისამდე;

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით N195031 შეთანხმდეს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი – ჩუღურეთი), ჩიტაიას ქ. 14 ა–ში, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა " ჩიტაიას ქუჩა 14 ა"– ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 29 ივნისიდან – 2013 წლის 29 მაისის ჩათვლით.

2013 წლის 15 მაისის NAR1131776 განაცხადით მოგვმართა მოქ. კ. შავიშვილმა, რომელმაც მოითხოვა მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2007 წლის 13 ივნისის N581 ბრძანებასა და N6/508–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელება.
სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 5 ივნისის N195031 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 29 მაისის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 29 აპრილის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 5 ივნისის N195031 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.